სს პსპ დაზღვევა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 5

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 6

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება 7

ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება 8

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. მომზადების საფუძველი 9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 12
4. რისკების მართვა 13
5. წმინდა გამომუშავებული პრემია 20
6. საკომისიო შემოსავალი 21
7. სადაზღვევო ზარალები 21
8. სხვა ხარჯები 21
9. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი 22
10. საკურსო სხვაობა 22
11. დაბეგვრა 22
12. ფული და ფულის ეკვივალენტები 23
13. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები 23
14. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან 24
15. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები 25
16. სხვა აქტივები 27
17. იჯარები 27
18. სხვა სადაზღვევო ვალდებულება 28
19. გადავადებული საკომისო შემოსავალი 28
20. სხვა ვალდებულებები 28
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 28
22. პირობითი ვალდებულებები 29
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 29
24. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ჰსპ დაზღვევის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ჰსპ დაზღვევის“ (შემდგომში კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე საქმიანობის შედეგების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ინდივიდულურ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალურ მოძრაობას და ფულადი სახსრების ინდივიდუალურ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიას ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქიონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტციცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 აპრილი 2022

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ჰსპ დაზღვევის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ჰსპ დაზღვევის“ (შემდგომში კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე საქმიანობის შედეგების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ინდივიდულურ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის ინდივიდუალურ მოძრაობას და ფულადი სახსრების ინდივიდუალურ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიას ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქიონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტციცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 აპრილი 2022

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
მოზიდული პრემია		24,808,316	23,272,900
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში		(955,676)	(2,590,237)
წმინდა მოზიდული პრემია		**23,852,640**	**20,682,663**
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(126,426)	(1,082,327)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში გადაზღვევის წილი		(748,038)	245,994
წმინდა გამომუშავებული პრემია	5	**22,978,176**	**19,846,330**
საკომისიო შემოსავალი	6	353,764	537,470
სულ შემოსავალი		**23,331,940**	**20,383,800**
სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში		(22,807,321)	(19,171,010)
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ზარალებში და ცვლილებაში ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში		1,401,542	2,076,740
წმინდა სადაზღვევო ზარალები	7	**(21,405,779)**	**(17,094,270)**
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი*		(2,187,316)	(1,866,754)
პოლისების მოზიდვის ხარჯები		(205,980)	(176,658)
გაუფასურების ზარალი		(247,973)	(486,896)
სხვა ხარჯები*	8	(1,417,023)	(1,208,775)
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი	9	903,052	826,626
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	10	(432,899)	802,687
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		**(1,661,978)**	**1,179,760**
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	11	(461,680)	231,512
წლის მთლიანი სრული ზარალი/(შემოსავალი)		**(2,123,658)**	**1,411,272**

(*) - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში კომპანიამ გააკეთა წარდგენის ცვლილება - „ხელფასის და თანამშრომელთა სხვა სარგებლის“ მუხლი წარადგინა ცალკე მუხლად და „მარკეტინგული და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლის დასახელება შეიცვალა როგორც „სხვა ხარჯები“.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 აპრილს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	ს. ლებანიძე
ფინანსური დირექტორი	_____	ა. ასათიანი
მთავარი ბუღალტერი	_____	ე. იასაღაშვილი

9-36 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „პსპ დაზღვევა“

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
მოზიდული პრემია		24,808,316	23,272,900
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში		(955,676)	(2,590,237)
წმინდა მოზიდული პრემია		**23,852,640**	**20,682,663**
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(126,426)	(1,082,327)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში გადაზღვევის წილი		(748,038)	245,994
წმინდა გამომუშავებული პრემია	5	**22,978,176**	**19,846,330**
საკომისიო შემოსავალი	6	353,764	537,470
სულ შემოსავალი		**23,331,940**	**20,383,800**
სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში		(22,807,321)	(19,171,010)
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ზარალებში და ცვლილებაში ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში		1,401,542	2,076,740
წმინდა სადაზღვევო ზარალები	7	**(21,405,779)**	**(17,094,270)**
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი*		(2,187,316)	(1,866,754)
პოლისების მოზიდვის ხარჯები		(205,980)	(176,658)
გაუფასურების ზარალი		(247,973)	(486,896)
სხვა ხარჯები*	8	(1,417,023)	(1,208,775)
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი	9	903,052	826,626
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	10	(432,899)	802,687
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		**(1,661,978)**	**1,179,760**
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	11	(461,680)	231,512
წლის მთლიანი სრული ზარალი/(შემოსავალი)		**(2,123,658)**	**1,411,272**

(*) - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში კომპანიამ გააკეთა წარდგენის ცვლილება - „ხელფასის და თანამშრომელთა სხვა სარგებლის“ მუხლი წარადგინა ცალკე მუხლად და „მარკეტინგული და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლის დასახელება შეიცვალა როგორც „სხვა ხარჯები“.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 აპრილს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი		ს. ლებანიძე
ფინანსური დირექტორი		ა. ასათიანი
მთავარი ბუღალტერი		ე. იასაღაშვილი

9-36 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	4,214,642	4,220,403
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	13	12,516,656	12,269,318
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	14	15,623,542	14,674,437
გადაზღვევის აქტივები	15	468,291	1,673,286
გადავადებული აკვიზაციის ხარჯი		17,988	32,778
წინასწარ გადახდილი გადასახადები		20,070	37,014
სხვა აქტივები	16	447,424	671,721
მარაგები		55,443	27,965
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	11	-	461,680
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში		32,500	32,500
არამატერიალური აქტივები		2,884	4,740
აქტივების გამოყენების უფლება	17	388,041	513,290
ძირითადი საშუალებები		288,462	176,855
სულ აქტივები		**34,075,943**	**34,795,987**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		22,450,000	22,450,000
დაგროვილი ზარალი		(12,628,270)	(10,504,612)
		9,821,730	**11,945,388**
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	15	17,660,877	16,387,704
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	18	5,944,565	5,594,673
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	19	7,347	181,729
საიჯარო ვალდებულებები	17	475,518	573,417
სხვა ვალდებულებები	20	165,906	113,076
სულ ვალდებულებები		**24,254,213**	**22,850,599**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**34,075,943**	**34,795,987**

9-36 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**22,450,000**	**(11,915,884)**	**10,534,116**
საანგარიშგებო წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,411,272	**1,411,272**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**22,450,000**	**(10,504,612)**	**11,945,388**
საანგარიშგებო წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(2,123,658)	**(2,123,658)**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	**22,450,000**	**(12,628,270)**	**9,821,730**

9-36 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	21,692,377	20,079,834
მიღებული პროცენტები	876,697	869,341
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან	203,958	51,895
სხვა შემოსულობანი	1,121,813	117,377
ანაზღაურებული ზარალები	(19,275,699)	(15,339,751)
გადახდილი ხელფასები	(1,705,604)	(1,438,958)
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების ზრდა	(532,787)	(18,634)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(404,700)	(326,200)
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(249,839)	(901,808)
აგენტებისთვის და ბროკერებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(149,190)	(148,636)
საპენსიო შენატანი	(80,000)	(69,720)
გადახდილი საიჯარო ქირა	(52,675)	(8,158)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,143,992)	(842,998)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**300,359**	**2,023,584**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(134,795)	(59,733)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(134,795)**	**(59,733)**
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულების გადახდა	(97,899)	(114,004)
გადახდილი პროცენტი	(51,591)	(62,396)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(149,490)**	**(176,400)**
ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(21,835)	52,605
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**16,074**	**1,787,451**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 1 იანვარი	**4,220,403**	**2,380,347**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბერი	**4,214,642**	**4,220,403**

9-36 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

სს პსპ დაზღვევა (შემდგომში – კომპანია) დარეგისტრირებულია 2007 წელს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი # 204545572, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, პუშკინის ქ. #3.

კომპანიის გამოშვებული აქციების რაოდენობა შეადგენს 22,450,000 ცალს. 1 აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი და მაკონტროლებელია საქართველოს მოქალაქე კახაბერ ოქრიაშვილი, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 100%-ს. კომპანიის წილის მმართველია ვაჟა ოქრიაშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სადაზღვევო მომსახურება, გარდა გადაზღვევის მომსახურებისა.

შპს „ნიუ კლინიკა” (შემდგომში - შვილობილი კომპანია) წარმოადგენს სს „პსპ დაზღვევის“ 100%-ით ფლობილ შვილობილ საწარმოს. შპს „ნიუ კლინიკა“ დაარსდა 2012 წელს, იურიდიული მისამართით - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზირი, ნომერი 150. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია - 404415753. შპს „ნიუ კლინიკა”-ს ძირითადი საქმიანობაა პსპ დაზღვევის მომხმარებლებისთვის ოჯახის ექიმის მომსახურების მიწოდება.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

სს „პსპ დაზღვევის“ და მისი შვილობილი კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული და დამტკიცებულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 14 აპრილს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა:

- COVID-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVDI-19–ის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. პანდემიასთან გამკლავებაში მთავრობების მოქმედება და რეაგირება გავლენას ახდენს საზოგადოების, ზოგადად ეკონომიკის და შესაბამისად, ბიზნესის საქმიანობაზე. პანდემიას განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. პანდემიას გავლენა არ ჰქონია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე მიუხედავად მისი ეფექტისა საქმიანობის შედეგებზე, ფულადი სახსრების მოძრაობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. კომპანიის ფინანსური აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მის ფინანსურ ვალდებულებებს (განმარტებითი შენიშვნა 4).
- ხელმძღვანელობის ფინანსური პროგნოზის მიხედვით კომპანია შეძლებს საოპერაციო ფულადი ნაკადებით ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხების სრულად გადახდას, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს ზედამხედველობის ორგანოს მიერ დადგენილ საკანონმდებლო მოთხოვნებს (განმარტებითი შენიშვნა 4). ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლებს დაფინანსების მიღებას საბოლოო ბენეფიციარისგან და აღნიშნული არ წარმოადგენს მნიშვნელოვან განუსაზღვრელობას. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც საღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 განმატრებით შენიშვნაში.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა და ძალაში შევიდან 2021 წლის 1 იანვრიდან არის შემდეგი:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16)
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (შესწორება - ბასს 37);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (შესწორება - ბასს 16);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (შესწორება - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41);
- კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- საღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- საღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინიდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის პირველ იანვრამდე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

კომპანიამ გადაწყვიტა ნაადრევად არ მიეღო ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც გამოიცა IASB-ის მიერ, თუმცა ჯერ არ არის შესული ძალაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სიახლეებიდან არის ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები და იგი ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შესადარისი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა. თუმცა, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის სრული რეტროსპექტული გამოყენება შეუძლებელია, მაშინ საწარმო ვალდებულია, აირჩიოს ან მოდიფიცირებული რექტროსპექტული მიდგომა, ან რეალური ღირებულების მეთოდი. კომპანია აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღისთვის ფასს 9-სთან ერთად. ამჟამად, კომპანია აფასებს ზემოაღნიშნული სტანდარტების გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 4-ში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კომპანია იყენებს დასაშვებ დროებით გამონაკლისს - “გადავადებული მიდგომა“ ფასს 9-ის გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორც კომპანია, რომლის მთავარი საქმიანობა არის სადაზღვევო საქმიანობა, რომელიც ფასს 4-ის მოქმედების სფეროში ჯდება. ამ ცვლილების გამოყენება ნებაყოფლობითია და კომპანიას შეუძლია გამოყენების შეწყვეტა, მანამ სანამ სადაზღვევო კონტრაქტების ახალი სტანდარტი შევა ძალაში. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, კომპანია იყენებს ბასს 39-ს, ნაცვლად ფასს 9-ის გამოყენებისა საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვრამდე, რადგან მანამდე არ ახდენდა ფასს 9-ის გამოყენებას. კომპანია 2020 წლის ბოლოს აკმაყოფილებდა ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომის კრიტერიუმებს - ფასს 4-ის მოქმედების სფეროში მყოფი ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანი საბალანსო ღირებულება არ იყო ნაკლები ყველა მისი ვალდებულების მთლიანი საბალანსო ღირებულების 90%-ის.

დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებები წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებები ფასს 4-ის მოქმედების სფეროში		
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	17,660,877	16,387,704
	17,660,877	**16,387,704**
დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელიც არ არის ფასს 4-ის მოქმედების სფეროში		
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	5,944,565	5,594,673
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	7,347	181,729
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	2,205	25,104
	5,954,117	**5,801,506**
სულ დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულება	**23,614,994**	**22,189,210**
სულ ვალდებულებები	**24,254,213**	**22,850,599**
დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებების წილი მთლიანი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში	**97%**	**97%**

კომპანია არ არის ჩართული რაიმე საქმიანობაში, რომელიც არ უკავშირდება დაზღვევას.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

(ა) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი საბოლოო ზარალები

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას.

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის, შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა დიდი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება.

(ბ) დაზღვევიდან და გადაზღვევიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი

კომპანია აფასებს დაზღვევის და გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს მოთხოვნების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.

(გ) სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს შეფასების იმ შედეგებისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. რისკების მართვა

რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობაში არსებითი ელემენტია. რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისის მფლობელების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და სადაზღვევო პოლისის მფლობელთა, რეგულატორთა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის მოქმედებს. ამგვარი მარეგულირებელი წესები განსაზღვრავენ არა მხოლოდ საქმიანობის მიმართულებას და მონიტორინგს უწევენ მას, არამედ ადგენენ გარკვეულ შემზღუდავ ნორმებსაც, მაგალითად, კაპიტალის ადეკვატურობის ნორმებს, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების წარმოშობის შედეგად სადაზღვევო კომპანიების გაკოტრების რისკების მინიმიზაციისთვის.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია საკმარისი ლიკვიდური აქტივების შენარჩუნებისთვის, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

ადგილობრივი სადაზღვევო ზედამხედველი ადგენს კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესს სადაზღვევო კომპანიებისთვის.

2017 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებით „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული კაპიტალის მინიმალური ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა შეადგენდეს:

ა) სიცოცხლის დაზღვევა: 7,200,000 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან;

ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – გარდა სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისა: - 4,800,000 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან;

გ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევის, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის ჩათვლით: - 7,200,000 ლარის – 2021 წლის 31 დეკემბრიდან;

დ) გადაზღვევა: - 7,200,000 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან;

მზღვეველის კაპიტალის მინიმალური ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე არ უნდა იყოს სამსახურის მიერ მზღვეველისთვის დადგენილი გადახდისუნარიანობის მარჟის გაანგარიშებით მიღებული ოდენობის 1/3-ზე ნაკლები.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკების მართვა

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რომელიც მოიცავს რისკის მოცულობისა და გაცხადების პერიოდის რისკებს. კომპანიის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალისა და სადაზღვევო თანხის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა საბალანსო ღირებულებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზარალების სიხშირე და მათი მოცულობა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე თავდაპირველად შეფასებული ზარალების ვალდებულება.

კომპანია რისკების განეიტრალების მიზნით, ახდენს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიცირებას, რითიც მცირდება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების გავლენის რისკი პორტფელზე. რისკების განეიტრალება ხდება ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, ასევე, გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. ანდერაიტინგის ფარგლებში ხდება პორტფელის მგრძნობელობის ანალიზი, რომელზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლისების ზარალიანობის მაჩვენებელი. სწორად აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანია ადგენს ანდერაიტინგის დირექტივებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

კომპანია იყენებს ,,ზარალის კოეფიციენტს“ სადაზღვევო რისკების მონიტორინგის მიზნით. კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო ზარალების გაყოფით წმინდა სადაზღვევო შემოსავალზე.

კომპანიის ზარალის კოეფიციენტი შემდეგია:

	2021	2020
ზარალის კოეფიციენტი	92%	84%

კომპანიის მიერ განხორციელებული დაზღვევა მოიცავს სამედიცინო, სიცოცხლის, ქონების, ტვირთების, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების, უბედური შემთხვევების, სამოგზაურო, კრიტიკული დაავადებების, სამშენებლო რისკებისა და მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად, 12-თვიანია. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის არსებით რისკს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები, ხანძარი და ა.შ.

სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის, არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, დაზღვეულ პირთა მასიური დაავადებების შედეგად და ა.შ. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო თანაფარდობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

ზემოთ აღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციით. რისკი ნეიტრალდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების დაყოფას სახეობებისა და სადაზღვევო თანხების მიხედვით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული განხილვა წარმოადგენს კომპანიის რისკების დონის შემცირების პროცედურებს. კომპანია იყენებს ასევე ზარალების მართვისა და დარეგულირების პოლიტიკას, რათა შეამციროს მომავალი გაუთვალისწინებელი მოვლენების უარყოფითი გავლენა მის საქმიანობაზე. კომპანია ასევე ზღუდავს რისკის დონეს გარკვეულ კონტრაქტებზე ზარალის მაქსიმალური სიდიდის დაწესებით, ასევე გადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით, რათა შეამციროს კატასტროფულ მოვლენებთან დაკავშირებული რისკი.

განუსაზღვრელობების საფუძველი მომავალში ასანაზღაურებელი ზარალების შეფასებისას

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ რისკს, და კომპანიის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს.

ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ ასანაზღაურებელი თანხებით. კომპანია ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. მიუხედავად ამისა, სადაზღვევო ზარალების რეზერვებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების გათვალისწინებით, ფაქტიური შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს კომპანიის მიერ შეფასებული თავდაპირველი ვალდებულებისგან. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც კომპანიას ინფორმაცია გააჩნია. მოცემული ზარალების შეფასების ფარგლებში კომპანია ახდენს ზარალების ისტორიული მონაცემების (ანაზღაურებული ზარალების მოცულობა, ზარალების რაოდენობა, მოხდენის სიხშირე ა.შ) ანალიზს, რომელიც შესწორებულია მომავალ პერიოდის იმ ცვლილებებით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მაგალითად ზარალების სიხშირიდან, რეგულაციების ან ხელშეკრულების პირობების ცვლილებებიდან გამომდინარე და ა.შ.

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატურობაზე: კომპანია განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის ,,ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები'' მოქმედების სფეროში, თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ კომპანია მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგებაში ან ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულების ადეკვატურობის ტესტის შედეგად არ გამოვლინდა დანაკლისები.

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიას, თავისი საქმიანობის მანძილზე, შესაძლებელია წარმოეშვას შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი

ჯგუფი საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლოა ფინანსურ რისკებს წარმოშობდეს შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,214,642	4,220,403
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	12,516,656	12,269,318
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	15,623,542	14,674,437
გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში გადამზღვევლის წილისა)	407,295	864,252
სხვა აქტივები	120,028	152,095
	32,882,163	**32,180,505**
ფინანსური ვალდებულებები		
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	8,453,269	7,306,522
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	5,944,565	5,594,673
საიჯარო ვალდებულებები	475,518	573,417
სხვა ვალდებულებები	165,906	113,076
	15,039,258	**13,587,688**

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება. კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასებიმსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენება. რეალური ღირებულება შეფასდა არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი (დამზღვევი, გადამზღვეველი) ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე არსებული მომხმარებლებისთვის სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება) და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე.

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ყოველი ახალი დამზღვევის შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში), და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო ისტორია. მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგისას ხდება მომხმარებლების დაჯგუფება მათი საკრედიტო ისტორიების, სახეობების (ინდივიდუალური თუ იურიდიული პირები), ინდუსტრიის მიხედვით და ა.შ. ,,მაღალი რისკის“ მქონე მომხმარებლების დაჯგუფება ხდება ცალკე და მათთან შემდგომი თანამშრომლობა ძირითადად ხორციელდება წინასწარი გადახდების საფუძველზე.

კომპანია მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. ანარიცხების მცირე ნაწილი წარმოდგენილია სპეციფიკური რეზერვის სახით, რომელიც იანგარიშება თითოეული მნიშვნელოვანი კონტრაგენტის ანალიზის შედეგად.

სადაზღვევო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე	334,153	100%	(334,153)
ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე	5,829,967	0%	-
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე			
ვადადაუმდგარი	8,832,305	0%	-
ვადაგადაცილება 0-დან 3 თვემდე	553,014	0%	-
ვადაგადაცილება 3-დან 6 თვემდე	219,423	10%	(21,942)
ვადაგადაცილება 6-დან 9 თვემდე	112,309	30%	(33,693)
ვადაგადაცილება 9-დან 12 თვემდე	64,741	50%	(32,371)
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	713,893	100%	(713,893)
	10,495,685		**(801,899)**
მოთხოვნები გაუფასურებამდე	**16,659,805**		**(1,136,052)**
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(1,136,052)		-
წმინდა მოთხოვნები	**15,523,753**		**(1,136,052)**

სადაზღვევო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე	214,333	100%	(214,333)
ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე	4,902,705	0%	-
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე			
ვადადაუმდგარი	8,983,432	0%	-
ვადაგადაცილება 0-დან 3 თვემდე	498,579	0%	-
ვადაგადაცილება 3-დან 6 თვემდე	165,089	10%	(16,509)
ვადაგადაცილება 6-დან 9 თვემდე	87,022	30%	(26,107)
ვადაგადაცილება 9-დან 12 თვემდე	39,859	50%	(19,930)
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	642,548	100%	(642,548)
	10,416,529		**(705,094)**
მოთხოვნები გაუფასურებამდე	**15,533,567**		**(919,427)**
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(919,427)		-
წმინდა მოთხოვნები	**14,614,140**		**(919,427)**

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	8,453,269	-	**8,453,269**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	5,944,565	-	**5,944,565**
საიჯარო ვალდებულებები	158,233	448,475	**606,708**
სხვა ვალდებულებები	165,906	-	**165,906**
	14,721,973	**448,475**	**15,170,448**

ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	7,306,522	-	**7,306,522**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	5,594,673	-	**5,594,673**
საიჯარო ვალდებულებები	158,233	597,971	**756,204**
სხვა ვალდებულებები	113,076		**113,076**
	13,172,504	**597,971**	**13,770,475**

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

სავალუტო რისკის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,685,619	527,670	1,353	**4,214,642**
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	5,618,162	6,898,494	-	**12,516,656**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	9,728,337	5,895,205	-	**15,623,542**
გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში გადამზღვევლის წილისა)	407,295	-	-	**407,295**
სხვა აქტივები	120,028			**120,028**
	19,559,441	**13,321,369**	**1,353**	**32,882,163**
ფინანსური ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	8,453,269	-	-	**8,453,269**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	138,794	5,805,771	-	**5,944,565**
საიჯარო ვალდებულებები	475,518	-	-	**475,518**
სხვა ვალდებულებები	165,906	-	-	**165,906**
	9,233,487	**5,805,771**	**-**	**15,039,258**
	10,325,954	**7,515,598**	**1,353**	

სავალუტო რისკის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,026,916	191,933	1,554	**4,220,403**
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	5,609,918	6,659,400	-	**12,269,318**
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	8,733,980	5,857,171	83,286	**14,674,437**
გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში გადამზღვევლის წილისა)	864,252	-	-	**864,252**
სხვა აქტივები	152,095			**152,095**
	19,387,161	**12,708,504**	**84,840**	**32,180,505**
ფინანსური ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	7,306,522	-	-	**7,306,522**
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	116,409	5,478,264	-	**5,594,673**
საიჯარო ვალდებულებები	573,417	-	-	**573,417**
სხვა ვალდებულებები	113,076	-	-	**113,076**
	8,109,424	**5,478,264**	**-**	**13,587,688**
	11,277,737	**7,230,240**	**84,840**	

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და ხელმძღვანელობის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ

ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	31.12.2021		31.12.2020	
	20%	– 20%	20%	– 20%
ლარი/აშშ დოლარი	1,503,120	(1,503,120)	1,446,048	(1,446,048)
ლარი/ევრო	271	(271)	16,968	(16,968)

5. წმინდა გამომუშავებული პრემია

წმინდა გამომუშავებული პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოზიდული პრემია	გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	18,544,175	(221,247)	18,322,928	(3,677)	18,319,251
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა*	4,616,143	(726,014)	3,890,129	(1,180,748)	2,709,381
სამოგზაურო დაზღვევა	497,138	-	497,138	103,644	600,782
სიცოცხლის დაზღვევა	513,148	-	513,148	81,754	594,902
დაზღვევა უბედური შემთხვევებისგან	622,377	-	622,377	114,500	736,877
ქონება	390	(351)	39	5,319	5,358
ტვირთები	8,945	(8,064)	881	293	1,174
პასუხისმგებლობის დაზღვევა	6,000	-	6,000	4,451	10,451
	24,808,316	**(955,676)**	**23,852,640**	**(874,464)**	**22,978,176**

წმინდა გამომუშავებული პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოზიდული პრემია	გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	17,186,491	(253,765)	16,932,726	(901,199)	16,031,527
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა*	4,193,216	(2,236,539)	1,956,677	(24,536)	1,932,141
სამოგზაურო დაზღვევა	609,403	-	609,403	115	609,518
სიცოცხლის დაზღვევა	585,510	-	585,510	8,157	593,667
დაზღვევა უბედური შემთხვევებისგან	569,955	-	569,955	(5,166)	564,789
ქონება	61,550	(53,255)	8,295	93,377	101,672
ტვირთები	48,726	(41,234)	7,492	1,640	9,132
პასუხისმგებლობის დაზღვევა	18,049	(5,444)	12,605	(8,721)	3,884
	23,272,900	**(2,590,237)**	**20,682,663**	**(836,333)**	**19,846,330**

*კომპანია წარმოადგენს არაკომერციული იურიდიული პირის - „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ საშუალებით განხორციელებულ თანადაზღვევის სისტემაში მონაწილე მზღვეველს. სავალდებულო დაზღვევით მოზიდულ პოლისებზე მოზიდული და გამომუშავებული სადაზღვევო პრემია საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 1,275,348 და 1,255,406 ლარს, შესაბამისად. მოზიდული და გამომუშავებული სადაზღვევო პრემია საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 1,202,900 და 1,247,903 ლარს, შესაბამისად.

6. საკომისიო შემოსავალი

საკომისიო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
გადავადებას დაქვემდებარებული საკომისიო შემოსავალი	179,382	588,216
გადავადებული საკომისიო შემოსავალი (შენიშვნა 19)	(7,347)	(181,729)
ამორტიზაცია (შენიშვნა 19)	181,729	130,983
	353,764	**537,470**

7. სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
დარეგულირებული ზარალები	(21,804,732)	(16,923,647)
ცვლილება ზარალების რეზერვებში	(1,146,747)	(2,389,757)
რეგრესები	144,158	142,394
სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში	**(22,807,321)**	**(19,171,010)**
გადამზღვევლის წილი დარეგულირებულ ზარალებში	1,858,499	1,655,440
ზარალების რეზერვების ცვლილებაში გადამზღვევლის წილი	(456,957)	421,300
გადამზღვევლის წილი სადაზღვევო ზარალებში და ზარალებთან დაკავშირებული სადაზღვევო ვალდებულებების ცვლილებაში	**1,401,542**	**2,076,740**
წმინდა სადაზღვევო ზარალები	**(21,405,779)**	**(17,094,270)**

8. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
მარეგულირებელ ორგანოში გადახდილი თანხები	(246,819)	(221,906)
პროფესიული მომსახურება*	(304,577)	(202,870)
ცვეთა და ამორტიზაცია	(186,862)	(186,550)
სავალდებულო დაზღვევის ცენტრის საოპერაციო ხარჯები	(223,083)	(183,032)
რეკლამა	(124,436)	(118,487)
ოფისის ხარჯი	(55,265)	(57,498)
კომუნიკაციის ხარჯი	(62,036)	(49,728)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(37,234)	(36,201)
საბანკო ხარჯი	(31,252)	(35,304)
საწვავი	(30,331)	(26,800)
იჯარა	(47,059)	(22,863)
სხვა ხარჯი	(68,069)	(67,536)
	(1,417,023)	**(1,208,775)**

* 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 12,118 და 10,620 ლარს, შესაბამისად.

9. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ფინანსური შემოსავალი		
საბანკო დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	954,643	889,022
ფინანსური ხარჯი		
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	(51,591)	(62,396)
	903,052	**826,626**

10. საკურსო სხვაობა

საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	(21,835)	52,605
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	(411,064)	750,082
	(432,899)	**802,687**

11. დაბეგვრა

მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
დროებითი სხვაობის ეფექტი	(309,204)	231,512
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის ჩამოწერა	(152,476)	-
	(461,680)	**231,512**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დროებითი სხვაობების მიხედვით არის შემდეგი:

	აქტივი	ვალდებულება	წმინდა	აღრიცხული მოგება/ზარალში
ძირითადი საშუალებები	-	(43,269)	**(43,269)**	(16,741)
აქტივების გამოყენების უფლება	-	(58,206)	**(58,206)**	18,788
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	170,408	-	**170,408**	5,097
სხვა მიმდინარე აქტივები	54,179	-	**54,179**	4,702
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	-	(2,205)	**(2,205)**	22,899
საიჯარო ვალდებულებები	71,328	-	**71,328**	(14,685)
სხვა ვალდებულებები	-	(39,759)	**(39,759)**	(37,554)
დაგროვილი საგადასახადო ზარალი	-	-	**-**	(291,710)
საგადასახადო აქტივი	**295,915**	**(143,439)**	**152,476**	**(309,204)**
გადახურვა	(143,439)	143,439	**-**	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	**152,476**	**-**	**152,476**	**(309,204)**
გადავადებული საგადასახადო აქტივის ჩამოწერა	(152,476)		**(152,476)**	(152,476)
	-	**-**	**-**	**(461,680)**

11. დაბეგვრა (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დროებითი სხვაობების მიხედვით არის შემდეგი:

	აქტივი	ვალდებულება	წმინდა	აღრიცხული მოგება/ზარალში
ძირითადი საშუალებები	-	(26,528)	**(26,528)**	(3,573)
აქტივების გამოყენების უფლება	-	(76,994)	**(76,994)**	18,787
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	165,311	-	**165,311**	59,312
სხვა აქტივები	49,477	-	**49,477**	-
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	-	(25,104)	**(25,104)**	9,748
საიჯარო ვალდებულებები	86,013	-	**86,013**	(17,100)
სხვა ვალდებულებები	(2,205)	-	**(2,205)**	-
დაგროვილი საგადასახადო ზარალი	291,710	-	**291,710**	164,338
საგადასახადო აქტივი	**590,306**	**(128,626)**	**461,680**	**231,512**
გადახურვა	(128,626)	128,626	**-**	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	**461,680**	**-**	**461,680**	**231,512**

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2021	31.12.2020
ფული ბანკში (ლარი)	3,631,731	3,965,482
ფული ბანკში (უცხოური ვალუტა)	529,023	193,487
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	53,888	61,434
	4,214,642	**4,220,403**

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

13. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2021	31.12.2020
ძირითადი თანხა	12,364,720	12,194,945
პროცენტი	151,936	74,373
	12,516,656	**12,269,318**

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების რეალური ღირებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

14. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვეიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები პოლისის მფლობელებისგან	10,829,837	10,626,044
მოთხოვნები რეგრესებიდან	1,495,380	1,235,308
გადაზღვევის მოთხოვნები*	5,825,771	4,902,705
სხვა	4,197	4,818
	18,155,185	**16,768,875**
გაუფასურების რეზერვი სადაზღვევო მოთხოვნებზე	(1,136,052)	(919,427)
გაუფასურების რეზერვი რეგრესებზე	(1,395,591)	(1,175,011)
	15,623,542	**14,674,437**

*გადაზღვევის მოთხოვნები მოიცავს დარეგულირებულ სადაზღვევო ზარალებში გადამზღვევლის მონაწილეობას და საკომისიო მოთხოვნას. გადაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული მოთხოვნები ჩათვლას ექვემდებარე გადაზღვევის ხელშეკრულებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებთან, გადამზღვევლის დასტურის საფუძველზე. 2021 წლის ბოლოსთვის ჩასათვლელად ვადადამდგარი მოთხოვნა კომპანიამ შეაფასა 4 მლნ. ლარით, რომელიც არ არის წმინდა საფუძველზე წარდგენილი შესაბამის ვალდებულებებთან, რადგან კომპანიას გადამზღვევლისგან დასტური არ მიუღია.

კომპანია ვადადამდგარ მოთხოვნებზე ქმნის საეჭვო ვალების რეზერვს. მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

სადაზღვევო პოლისის მფლობელების გაუფასურების რეზერვის რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
1 იანვარი	**(919,427)**	**(706,657)**
რეზერვის ცვლილება	(216,625)	(359,424)
უიმედო მოთხოვნების არიარება	-	182,654
31 დეკემბერი	**(1,136,052)**	**(919,427)**

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან წარმოქმნილი მოთხოვნების რეალური ღირებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაცია დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

15. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	9,207,608	9,081,182
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	8,047,525	6,860,586
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	405,744	445,936
	17,660,877	**16,387,704**
გადაზღვევის აქტივები		
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	60,996	809,034
გადამზღვევლის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში	379,439	777,110
გადამზღვევლის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში	27,856	87,142
	468,291	**1,673,286**
გადამზღვევლის წილით შემცირებული სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	9,146,612	8,272,148
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	7,668,086	6,083,476
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	377,888	358,794
	17,192,586	**14,714,418**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების და გადაზღვევის აქტივების მოძრაობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გამოუმუშავებელი პრემიის მთლიანი რეზერვი	**2021**	**2020**
ნაშთი 1 იანვრისთვის	**9,081,182**	**7,998,855**
მოზიდული პრემია	24,808,316	23,272,900
მთლიანი გამომუშავებული პრემია	(24,681,890)	(22,190,573)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	**9,207,608**	**9,081,182**
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		
ნაშთი 1 იანვრისთვის	**809,034**	**563,040**
გადამზღვველის წილი მოზიდულ პრემიაში	955,676	2,590,237
გამომუშავებულ პრემიაში გადამზღვევლის წილი	(1,703,714)	(2,344,243)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	**60,996**	**809,034**
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, წმინდა		
ნაშთი 1 იანვრისთვის	**8,272,148**	**7,435,815**
მოზიდული პრემია, წმინდა	23,852,640	20,682,663
წმინდა გამომუშავებული პრემია	(22,978,176)	(19,846,330)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	**9,146,612**	**8,272,148**

15. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

სადაზღვევო ზარალების რეზერვი

ზარალების რეზერვი, მთლიანი:	2021	2020
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	6,860,586	4,624,296
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	445,936	292,469
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	**7,306,522**	**4,916,765**
წინა წლის ზარალების გადახდა	(3,393,188)	(1,860,610)
წინა წლის ზარალების შეფასების ცვლილება	(968,902)	(695,569)
მიმდინარე წლის ზარალების დასარეგულირებლად საჭირო დანახარჯები	23,920,381	20,008,973
მიმდინარე წლის ზარალების გადახდა	(18,411,544)	(15,063,037)
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	**8,453,269**	**7,306,522**
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	8,047,525	6,860,586
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	405,744	445,936

სადაზღვევო ზარალების რეზერვი, გადამზღვევლის წილი:	2021	2020
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	777,110	419,275
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	87,142	23,677
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	**864,252**	**442,952**
წინა წლის ზარალების გადახდა	(557,992)	(145,988)
წინა წლის ზარალების შეფასების ცვლილება	85,321	(31,977)
მიმდინარე წლის ზარალების დასარეგულირებლად საჭირო დანახარჯები	1,316,221	2,108,717
მიმდინარე წლის ზარალების გადახდა	(1,300,507)	(1,509,452)
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	**407,295**	**864,252**
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	379,439	777,110
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	27,856	87,142

სადაზღვევო ზარალების რეზერვი, წმინდა	2021	2020
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	6,083,476	4,205,021
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	358,794	268,792
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის	**6,442,270**	**4,473,813**
წინა წლის ზარალების გადახდა	(2,835,196)	(1,714,622)
წინა წლის ზარალების შეფასების ცვლილება	(1,054,223)	(663,592)
მიმდინარე წლის ზარალების დასარეგულირებლად საჭირო დანახარჯები	22,604,160	17,900,256
მიმდინარე წლის ზარალების გადახდა	(17,111,037)	(13,553,585)
სულ დამდგარი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის	**8,045,974**	**6,442,270**
განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	7,668,086	6,083,476
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	377,888	358,794

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები – ძირითადი პირობები და დაშვებები

სადაზღვევო კონტრაქტები მოიცავს სამედიცინო, სიცოცხლის, ქონების, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების, უბედური შემთხვევის, ტვირთების, სამოგზაურო, კრიტიკული დაავადებების, სამშენებლო რისკებისა და მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები ძირითადად 12-თვიანია.

სადაზღვევო კონტრაქტებისთვის სადაზღვევო რეზერვები (მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი) განისაზღვრება ვალდებულებების საბოლოო ღირებულების დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც უკვე მომხდარია და ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე.

15. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

რეზერვების ხელახალი შეფასება ხდება რეგულარულად, ზარალების მოხდენის ტენდენციის, ასევე მათი დაფარვის გათვალისწინებით. სადაზღვევო ზარალების რეზერვების თანხის დისკონტირება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში არ ხდება.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის გაანგარიშების შესახებ, ვალდებულებათა ადეკვატურობის ტესტის ჩათვლით, ინფორმაცია მოცემულია 24-ე განმარტებით შენიშვნაში (კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა, სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები).

16. სხვა აქტივები

სხვა აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
ტენდერში მონაწილეობისთვის გადახდილი თანხები	329,411	360,751
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(209,383)	(208,656)
	120,028	**152,095**
არაფინანსური აქტივები		
დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წინასწარ გადახდილი თანხები	126,440	80,591
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	341,112	553,979
სხვა	11,656	6,247
	479,208	**640,817**
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(151,812)	(121,191)
	327,396	**519,626**
	447,424	**671,721**

17. იჯარები

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს ქ. თბილისში. საოფისე ფართის იჯარა არის ფიქსირებული, იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია ლარში. იჯარის ვადა შეფასებულია 5 წლით.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
1 იანვარი	**513,290**	**638,539**
ცვეთა	(125,249)	(125,249)
31 დეკემბერი	**388,041**	**513,290**

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
1 იანვარი	**573,417**	**687,421**
საპროცენტო ხარჯი	51,591	62,396
გადახდა	(149,490)	(176,400)
31 დეკემბერი	**475,518**	**573,417**

ფასს 16-ის მიხედვით, კომპანია უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას. აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულებების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებით და დარიცხული ვალდებულებით. საიჯარო ვალდებულებები აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრულ სასესხო განაკვეთად აღებულია წლიური 12.72%.

18. სხვა სადაზღვევო ვალდებულება

სხვა სადაზღვევო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
გადამზღვევლის მიმართ ვალდებულება (შენიშვნა 14)	5,810,491	5,491,423
აგენტის და ბროკერის მომსახურების ვალდებულება	134,074	103,250
	5,944,565	**5,594,673**

სხვა სადაზღვევო ვალდებულებების რეალური ღირებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დამატებითი ინფორმაცია სხვა სადაზღვევო ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

19. გადავადებული საკომისო შემოსავალი

გადავადებული საკომისიო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
1 იანვრი	**181,729**	**130,983**
გადავადებას დაქვემდებარებული საკომისიო შემოსავალი (შენიშვნა 6)	179,382	588,216
ამორტიზაცია	(353,764)	(537,470)
31 დეკემბერი	**7,347**	**181,729**

20. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები		
სახელფასო ვალდებულებები	32,644	13,335
სხვა	133,262	99,741
	165,906	**113,076**

სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაცია სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2021 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მოზიდული პრემია	2,518,232	-	**24,808,316**
სხვა ხარჯები	(9,744)	-	**(1,417,023)**
საპროცენტო ხარჯი	(51,591)	-	**903,052**
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის მოკლევადიანი ანაზღაურება	-	(248,708)	**(1,417,023)**

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2020 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობა	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მოზიდული პრემია	2,459,508	-	**23,272,900**
სხვა ხარჯები	(34,203)	-	**(3,075,529)**
საპროცენტო ხარჯი	(62,396)	-	**826,626**
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის მოკლევადიანი ანაზღაურება	-	(233,066)	**(3,075,529)**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	1,785,654	**15,623,542**
საიჯარო ვალდებულებები	475,518	**475,518**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	873,239	**17,660,877**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	1,634,586	**14,674,437**
საიჯარო ვალდებულებები	484,119	**573,417**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	924,532	**16,387,704**

დაკავშირებული მხარეები წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს.

22. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია მოპასუხედ გამოდის 1 სასამართლო დავაში, სადაც ჯამური სადავო თანხა 280,000 ლარია. მოსარჩელე კომპანიისგან მოითხოვს სადაზღვევო შემთხვევიდან წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურებას. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსარჩელეს მოთხოვნა უსაფუძვლოა და ამ სარჩელთან დაკავშირებით ეკონომიკური სარგებლის გადინება არ მოხდება კომპანიიდან. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის არ აქვს აღიარებული რეზერვი მოცემულ თანხასთან მიმართებაში.

სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებული იურიდიული სარჩელებისა და პრეტენზიების გათვალისწინება ხდება შესაბამისი ტექნიკური რეზერვის შექმნისას.

საბანკო გარანტია - კომპანიას ქართუ ბანკში აქვს საბანკო გარანტიები 205 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც სრულდება 2022 წელს და 166 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც სრულდება 2023 წელს.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობის ანგარიშგება – „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ კანონის თანახმად (მუხლი 7), კომპანია ვალდებულია მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოს წარუდგინოს მმართველობის ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო წლის 1 ოქტომბრისა. კომპანიამ შეასრულა ეს ვალდებულება ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მდგომარეობა არ დასრულებულა. ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე ვერ აფასებს აღნიშნული ომის გავლენას (ან შესაძლო გავლენას) ჯგუფის საქმიანობაზე.

24. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

24.1 შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი საკურსო სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2021	31.12.2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

24.2 სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტები - კლასიფიკაცია

კომპანია აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლებიც ატარებს სადაზღვევო ან ფინანსურ რისკს, ან ორივეს ერთად. სადაზღვევო ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მზღვეველი თავის თავზე იღებს პოლისის მფლობელის მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება ასევე ატარებდეს ფინანსურ რისკსაც. სადაზღვევო რისკის არსებითობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ეფექტის მოცულობაზე.

24.3 ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს კომპანია ატარებს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს, რათა შეაფასოს აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებების ადეკვატურობა, რომელიც შემცირებულია მოზიდვის გადავადებული ხარჯებითა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით. ადეკვატურობის ტესტისთვის კომპანია იყენებს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალებისა და ადმინისტრაციული ხარჯების, ასევე სადაზღვევო ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის საჭირო აქტივებიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავლების მიმდინარე შეფასებებს. აღნიშნული შეფასებებიდან წარმოშობილი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ნებისმიერი გაუფასურება აღიარდება შემდეგნაირად: თავდაპირველად ხდება შესაბამისი მოზიდვის გადავადებული დანახარჯებისა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჩამოწერა მოგებაში ან ზარალში, ხოლო შემდგომ ხდება გაუფასურების ზარალის რეზერვის შექმნა.

24.4 მოზიდვის გადავადებული ხარჯები

საკომისიო და მოზიდვის სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი კონტრაქტების მოზიდვასთან და არსებული კონტრაქტების განახლებასთან, კლასიფიცირდება, როგორც არამატერიალური აქტივები. ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. მოზიდვის გადავადებული ხარჯების ამორტიზება ხდება კონტრაქტის ვადის განმავლობაში სადაზღვევო პრემიის გამომუშავების პროპორციულად;

მოსალოდნელი მოგების მარჟა დამოკიდებულია წარსულ გამოცდილებაზე და მოსალოდნელ შედეგებზე, რომელთა გადახედვა და გაანალიზებაც ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. გადავადებული აკვიზიციის ხარჯების საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში.

24. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

24.5 გადაზღვევის კონტრაქტები

სხვა მზღვეველთან (გადამზღვეველი) გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მეშვეობითაც გადამზღვეველი კომპანიას უნაზღაურებს გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების ზარალს და აკმაყოფილებს სადაზღვეო ხელშეკრულებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის კონტრაქტი.

სარგებელი, რომლის მიღების უფლებაც კომპანიას წარმოეშობა მის მიერ ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტების შესაბამისად, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის აქტივი. ასეთი ტიპის აქტივები შედგება მოკლე და გრძელვადიანი მოთხოვნებისგან, რაც განისაზღვრება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოსალოდნელი ზარალებისა და სარგებლის ვადის მიხედვით.

გადამზღვევლისგან მისაღები ანაზღაურების შეფასება ხდება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან მისაღები თანხების პროპორციულად და თითოეული ამ კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გადაზღვევის ვალდებულება წარმოადგენს გადაზღვევის კონტრაქტებზე გადასახდელ პრემიას და აღიარდება ხარჯად გადახდის ვადის დადგომისას.

კომპანია ყოველწლიურად ახდენს გადაზღვევის აქტივების გაუფასურების შეფასებას. თუ აღმოჩნდა აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას აქტივის გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს.

24.6 სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები

მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიარება, როგორიცაა აგენტების, ბროკერებისა და პოლისების მფლობელებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი თანხები, ხდება მათი წარმოშობის მომენტიდან.

თუ არსებობს სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია ამცირებს სადაზღვევო მოთხოვნის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს. კომპანია ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

(i) რეგრესი და გადარჩენილი ქონება

ზოგიერთი სახის სადაზღვევო კონტრაქტი კომპანიას უფლებას აძლევს, გაყიდოს (როგორც წესი, გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება (გადარჩენილი ქონება). კომპანიას ასევე შეიძლება ქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი).

გადარჩენილი ქონებიდან მიღებული ანაზღაურება აისახება სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების სახით, ხოლო როდესაც ვალდებულება დაფარულია, იგი აღიარდება, როგორც სხვა აქტივი. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია შესაბამისი ქონების რეალიზაციიდან.

რეგრესებიც ასევე განიხილება, როგორც სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირება, და აღიარდება სხვა აქტივებში იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებები დაფარულია. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა კი არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია მესამე მხარეებისგან.

24.7 სადაზღვევო ზარალების ვალდებულებები

რეზერვები იქმნება ზარალებისთვის და სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის, რომლებიც მოხდა, მაგრამ კომპანიას ჯერ არ დაურეგულირება. სადაზღვევო ზარალების რეზერვები იყოფა ორ კატეგორიად: განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგარამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

(i) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ფორმირებას კომპანია ახორციელებს მზღვეველის მიმართ ცნობილი მოთხოვნების არსებობისას საანგარიშო თარიღისათვის, რაც შესაბამისი განაცხადებით დასტურდება.

24. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა საანგარიშო თარიღისათვის არის დამზღვევთა ცნობილ მოთხოვნებზე სადაზღვევო ანაზღაურების დარეზერვებული გადაუხდელი თანხები, რომლებზეც არ არის მიღებული გადაწყვეტილება სადაზღვევო თანხების სრული ან ნაწილობრივი დაფარვის დაუკმაყოფილებლობაზე. განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა აისახება კომპანიის ბალანსში, როგორც ვალდებულება.

(ii) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის დათვლა მოხდა კომპანიის გამოცდილებიდან გამომდინარე. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი რეზერვების ოდენობა კომპანიის ბალანსში აისახება, როგორც ვალდებულება. მოცემული ზარალების შეფასების ფარგლებში კომპანია ახდენს ზარალების ისტორიული მონაცემების (ანაზღაურებული ზარალების მოცულობა, ზარალების რაოდენობა, მოხდენის სიხშირე ა.შ) ანალიზს, რომელიც შესწორებულია მომავალ პერიოდის იმ ცვლილებებით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მაგალითად ზარალების სიხშირიდან, რეგულაციების ან ხელშეკრულების პირობების ცვლილებებიდან გამომდინარე და ა.შ.

24.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შეძენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში სესხების და მოთხოვნების კატეგორია წარმოდგენილია დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნებით, გადაზღვევის აქტივებით (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში გადამზღვევლის წილისა), სხვა ფინანსური აქტივებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის.

გაუფასურების რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

24. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

(ა) რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღირებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

(ბ) რომლებსაც კომპანია განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და

(გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება - სესხები და მოთხოვნები.

ფინანსურ ანგარიშგებაში დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოდგენილია საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების სახით.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

(i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;

(ii) თავდაპირველი აღიარებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა), სხვა სადაზღვევო ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

24.9 დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

24. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

24.10 იჯარები

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა ორივე შემდეგი უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულება ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადასახდელები გაიანგარიშება იმ მოცულობით, რამდენადაც ისინი დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადასახდელები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, ასევე მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

24. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

იჯარის მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება აღირიცხება შემდეგნაირად:

- მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო. მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან;
- კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენეტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებულს), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

24. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტიდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადასახდელების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ამგვარი უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიანი პრაქტიკის განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადასახდელები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიან იჯარა და იჯარის, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება

კომპანია გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით, გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

24.11 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

24.12 სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

24.13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ განმარტებით შენიშვნებში.

24.14 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.